

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზანია კანონმდებლობაში აისახოს 2020 წლის 17 სექტემბერს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის მე-60 პლენარულ სხდომაზე დამტკიცებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტურობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან შესაბამისობის საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშში, ევროპის საბჭოს მიერ მოცემული რეკომენდაციები.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის განმარტებული ტერმინი - საფუძვლიანი ეჭვი. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტით, საექვო გარიგება არის გარიგება, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის მომზადდა, დაიდო ან შესრულდა უკანონოდ მოპოვებული ქონების ან ასეთი ქონებისგან მიღებული შემოსავლის საფუძველზე ან/და ფულის გათეთრების მიზნით ან უკავშირდება ტერორიზმის დაფინანსებას. შესაბამისად, იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულმა პირებმა ფინანსური მონიტორინგის სამსახურში საექვო გარიგება გამოაგზავნონ, საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტით უნდა იხელმძღვანელონ, რომლის განმარტებასაც ახალი ცვლილება გვთავაზობს. აღნიშნული ნაკლოვანება გავლენას ახდენს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის 23-ე რეკომენდაციაზე. MONEYVAL-ის შემდგომი შეფასების პროცედურის ეფექტიანად წარსამართად და ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებზე რეიტინგის აწევის მიზნებისათვის, წარმოდგენილი ცვლილება ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

სადაზღვევო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადაზღვევის ბროკერის ტერმინს. სადაზღვევო ბროკერი მოიცავს გადაზღვევის ბროკერის საქმიანობასაც. შესაბამისად,

ტერმინოლოგიურად სწორდება კანონპროექტის ის მუხლები, რომლებიც სადაზღვევო ბროკერთან ერთად გადაზღვევის ბროკერის ტერმინებს გვთავაზობს.

საქართველოში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უძრავი ქონების აგენტები არ არიან ანგარიშვალდებული პირები. ამავდროულად, ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციების თანახმად, აღნიშნული პირები, უძრავი ქონების საშუალებით ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნებისთვის, უნდა ატარებდნენ კანონით გათვალისწინებულ პრევენციულ ღონისძიებებს. MONEYVAL-ის შემფასებლებს, განემარტათ, რომ ქვეყნის მიერ უძრავი ქონების აგენტების ანგარიშვალდებულ პირებად არ არსებობა, დაბალანსებული იყო სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) ანგარიშვალდებულ პირად ყოფნით, რომელიც შემოწმების პერიოდისათვის ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აგზავნიდა როგორც საექვო გარიგებებს, აგრეთვე ზღვარს ზემოთ გარიგებებს. თუმცა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, 2019 წლიდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საექვო გარიგებების გაგზავნა ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღარ ევალემათ. აღნიშნული ექსპერტების მიერ მნიშვნელოვან შემაშფოთებელ გარემოებად იქნა მიჩნეული, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ უძრავი ქონების აგენტები არ არიან ანგარიშვალდებული პირები, ხოლო უძრავი ქონების საშუალებით ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული საქმეები, ქვეყანაში დაფიქსირებულია. გამომდინარე აქედან, ამოღებულ იქნება კანონის ის დანაწესი, რომელიც „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მხოლოდ ზოგიერთ მუხლს ავრცელებს საჯარო რეესტრზე. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალება პრევენციული ღონისძიებების გატარება. განისაზღვრება საჯარო რეესტრის მიერ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში საექვო გარიგების გაგზავნის წესი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო განსაზღვრავს საექვო გარიგების კრიტერიუმებს, ხოლო მისი გამოვლენის შემთხვევაში ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგენს ანგარიშგებას. თავის მხრივ ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია ანგარიშგების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა გამოიყენოს გარიგების შეჩერების მექანიზმი, ხოლო აღნიშნულის გამოუყენებლობის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგრძელებს სარეგისტრაციო წარმოებას. შედეგად, უძრავ ქონებაზე გარიგების რეგისტრაციის პროცესი არ შეფერხდება, ხოლო მეორე მხრივ საექვოობის დადგენის შემთხვევაში საჯარო რეესტრს და ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სამართლებრივი საფუძველი უჩნდებათ საექვო გარიგების ფარგლებში შესაძლო ფულის გათეთრების ან/და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევები აირიდონ. ცვლილება ასევე ითვალისწინებს საჯარო რეესტრის სამსახურის ვალდებულებას წარადგინოს ანგარიშგება ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, თუკი საექვო გარიგება გამოვლინდება უფლების რეგისტრაციის შემდგომ. ამასთან, ფინანსური

მონიტორინგის სამსახური და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არაუმეტეს წელიწადში ერთხელ უკუკავშირის გაცვლის მიზნით ითანამშრომლებენ.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, ტრასტის ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის მქონე პირის მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას, კანონი არ მოითხოვს ტრასტის შექმნის დოკუმენტის გაცნობას. აღნიშნულმა ხარვეზმა, უარყოფითი გავლენა მოახდინა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის 22-ე რეკომენდაციაზე. შესაბამისად, კანონპროექტით აღნიშნული ჩანაწერი ემატება კანონს.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას, როდესაც ანგარიშვალდებული პირი საქმიანი ურთიერთობის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს, აღნიშნულ პროცესი უნდა ეფუძნებოდეს განახლებულ ინფორმაციას. აღნიშნულმა ხარვეზმა, უარყოფითი გავლენა მოახდინა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის 22-ე რეკომენდაციაზე. შესაბამისად, ხდება აღნიშნული ჩანაწერის კანონისთვის დამატება.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, ლატარიის ორგანიზატორს, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს უნდა შეეძლოს პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებული ინფორმაციის განხორციელებულ გარიგებებთან (ოპერაციებთან) დაკავშირება. აღნიშნულის თაობაზე კანონში ჩანაწერის არ არსებობა შეფასდა ნაკლოვანებად, შესაბამისად უარყოფითი გავლენა მოახდინა 22-ე რეკომენდაციაზე. კანონპროექტით სწორდება აღნიშნული ხარვეზი.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, როდესაც ანგარიშვალდებული პირი ეყრდნობა მესამე პირს ან შუამავალს, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მესამე პირს/შუამავალს გააჩნია სათანადო შესაძლებლობები პრევენციული ღონისძიებები გაატაროს და ინფორმაცია (დოკუმენტები) შეინახოს. ამასთან, მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობის აკრძალვა ვრცელდებოდა მხოლოდ მაღალი რისკის იურისდიქციის ადგილსამყოფელზე, ხოლო რეგისტრაციის ან/და საქმიანობის ადგილი კი კანონით არ იყო გათვალისწინებული. კანონის არ შეიცავდა დანაწესს შესაბამისობის კონტროლის სისტემის საკმარისად ადეკვატურობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დამატებები კანონპროექტითაა გათვალისწინებული, რითაც აღმოიფხვრება 22-ე რეკომენდაციის სამი ხარვეზი.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემისას განსაზღვრული ვალდებულებები უნდა გავრცელდეს ფინანსურ ინსტიტუტებზეც, რომელიც მხოლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს ეხებოდა. შესაბამისად, ცვლილება შედის 17¹ მუხლში, რომელშიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე დაზუსტდება ვირტუალური აქტივის გადაცემის ტერმინი და მოხდება საეჭვო ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით ნორმის გაფართოება, რომელიც

მიმღებ პროვაიდერთან ერთად, ასევე გავრცელდება ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალ პროვაიდერზე და საექსპოზიციო საფუძვლად გათვალისწინებული იქნება არამართო გადამცემის და მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემების, არამედ სხვა მონაცემების არასრულად წარმოდგენაც.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გატარება, მაღალი რისკის იურისდიქციაში არსებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებით არ უნდა იყოს დაკავშირებული ამავე კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ პრევენციულ ღონისძიებებთან. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის მე-19 რეკომენდაცია არ ითვალისწინებს მსგავს კავშირს, შესაბამისად, კანონპროექტის ბოლო ცვლილებით აღნიშნული მიმართება წაიშლება, რაც დადებით გავლენას ახდენს 23-ე რეკომენდაციაზე. გარდა ამისა, ექსპერტების შეფასებით, ფინანსურმა ინსტიტუტებმა გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები რისკის, საქმიანი ურთიერთობისა და გარიგების პროპორციულად უნდა გაატარონ, რის თაობაზეც მოთხოვნის სამართლებრივი ჩანაწერი კანონში არ გვაქვს. ამასთან, გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება უნდა ვრცელდებოდეს იმ იურიდიულ პირებზეც, რომელთა მართვაც ხდება მაღალი რისკის იურისდიქციიდან. იმ შემთხვევაში, თუკი ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის საჯარო განცხადება მაღალი რისკის იურისდიქციების თაობაზე შეიცავს მოთხოვნას შემხვედრი ღონისძიებების გატარების თაობაზე, კომპეტენტურ ორგანოებს აღნიშნული უნდა შეეძლოს როგორც ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის განცხადებისას, ასევე მისგან დამოუკიდებლადაც. ზემოაღნიშნული არცერთი ხარვეზის თაობაზე, კანონში ჩანაწერი არ გვაქვს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს 23-ე რეკომენდაციაზე. კანონპროექტით გათვალისწინებულია ყველა ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის მენეჯმენტის დონის იერარქიაში ყოფნის სავალდებულოობა არ არის გათვალისწინებული კანონით. გამომდინარე აქედან, კანონს ემატება დანაწესი, რომელიც ზემოაღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს და 23-ე რეკომენდაციის ხარვეზს აღმოფხვრის.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, ჯგუფის დონეზე შესაბამისობის სისტემის სრულყოფილი დანერგვისათვის, აუდიტის ჩატარების მიზნებისათვის, ჯგუფის წევრებს უნდა გააჩნდეთ ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა. კანონპროექტით გათვალისწინებულია კანონის 30-ე მუხლში ცვლილება, რითაც გამოსწორდება 23-ე რეკომენდაციის ხარვეზი.

MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით, საზედამხედველო ორგანოების მიერ საზედამხედველო ღონისძიებების გატარებისას ანგარიშვალდებული პირის რაოდენობისა და მრავალფეროვნების, ასევე შესაბამისობის კონტროლის სისტემის, პოლიტიკისა და პროცესის

ადეკვატურობის შემოწმებისას ანგარიშვალდებული პირის რისკის დონის გათვალისწინება უნდა მოხდეს. პრაქტიკაში, სწორი საზედამხედველო ღონისძიებების გატარება ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით შეუძლებელია, თუმცა აღნიშნულის თაობაზე კანონი ვალდებულებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, კანონპროექტით გამოსწორდება 28-ე რეკომენდაციიდან გამომდინარე ხარვეზები, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია პირველ რეკომენდაციაზე.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

MONEYVAL-ის რეკომენდაციებით გათვალისწინებული ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა ეხება საკანონმდებლო ხარვეზს, შესაბამისად, მის გამოსასწორებლად, აუცილებელია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა. აღნიშნული ცვლილების კანონში ასახვას, დადებითი გავლენა ექნება MONEYVAL-ის გაძლიერებული შემდგომი შეფასების (Enhanced Follow-up procedure) პროცედურაზე, სადაც შესაძლებელი იქნება, სათანადო პროგრესის ჩვენების შემთხვევაში, რეკომენდაციებზე რეიტინგის აწევის მოთხოვნა.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტით ქვეყანა გაითვალისწინებს MONEYVAL-ის რეკომენდაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შედეგად, ექნება შესაძლებლობა მოითხოვოს 22-ე და 23-ე რეკომენდაციებზე პროგრესის აღიარება 2024 წლის დეკემბრის თვეში მისაღებ მესამე გაძლიერებული შემდგომი შეფასების ანგარიშში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ყველა ცვლილება ეხება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

კერძოდ, MONEYVAL-ის ექსპერტების შეფასების საფუძველზე, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განიმარტება საფუძვლიანი ეჭვი; კანონიდან გაქრება გადაზღვევის ბროკერის ცნება; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალება საექვო ანგარიშგებების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გაგზავნა და პრევენციული ღონისძიებების გატარება; ტრასტის ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის მქონე პირის მიმართ პრევენციული

ღონისძიებების განხორციელებისას მოთხოვნილი იქნება ტრასტის შექმნის დოკუმენტი; განგრძობითი მონიტორინგი დაეყრდნობა განახლებულ ინფორმაციას; ლატარიის ორგანიზატორს, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს დაევალება პრევენციული ღონისძიებების შედეგად მიღებული ინფორმაციის დაკავშირება განხორციელებულ გარიგებებთან; მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობის შემთხვევაში ანგარიშვალდებული პირი დარწმუნდება რომ მესამე პირის/შუამავლის სისტემები საკმარისად ადეკვატურია და აქვს შესაძლებლობა პრევენციული ღონისძიებების გატარების/ინფორმაციის შენახვის; კანონის 17¹ მუხლის მოთხოვნები გავრცელდება ფინანსურ ინსტიტუტზეც, ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დაზუსტდება ვირტუალური აქტივის გადაცემის ტერმინი და მოხდება საექვო ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით ნორმის გაფართოება, რომელიც მიმღებ მომსახურების პროვაიდერთან ერთად, ასევე გავრცელდება ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალ პროვაიდერზეც და საექვოობის საფუძვლად გათვალისწინებული იქნება არამარტო გადამცემის და მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემების, არამედ სხვა მონაცემების არასრულად წარმოდგენაც; შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი მენეჯმენტის დონის იერარქიაში იქნება განსაზღვრული ანგარიშვალდებულ პირად; ანგარიშვალდებულ პირს მიეცემა შესაძლებლობა აუდიტის თაობაზე ინფორმაცია გაცვალოს ჯგუფს შიგნით; გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების საფუძვლებთან, როდესაც საქმე ეხება მაღალი რისკის იურისდიქციასთან დაკავშირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს; საზედამხედველო ორგანო შემოწმების მიზნებისთვის ანგარიშვალდებული პირის რისკის დონეს, რაოდენობას და მრავალფეროვნებას გაითვალისწინებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, გარდა მაღალი რისკის იურისდიქციის საკითხების მარეგულირებელი ცვლილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საექვო გარიგებების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გაგზავნის ვალდებულებისა. საჯარო რეესტრს ეროვნულ სააგენტოს 6 თვე ექნება კანონპროექტის სრული იმპლემენტაციისათვის და კანონპროექტის ეს ნორმები ძალაში შევა 2024 წლის 1 დეკემბერს. კანონპროექტის მიღების შემდგომ, სახელმწიფო უწყებებს არ სჭირდებათ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება,

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მათ ყოველდღიურ საქმიანობაში დასანერგად.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საექვო გარიგების გამოგზავნისათვის ესაჭიროება საექვო გარიგების კრიტერიუმების განსაზღვრა და სტრუქტურაში შესაბამისი ქვედანაყოფის შექმნა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად, ასევე MONEYVAL-ის მიზნებისათვის საკვანძო თარიღების გათვალისწინებით (კომიტეტი მხოლოდ გაითვალისწინებს დეკემბრის 1 რიცხვისთვის ამოქმედებულ ღონისძიებებს), საჯარო რეესტრს ეროვნულ სააგენტოს 6 თვე ექნება კანონპროექტის სრული იმპლემენტაციისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ მაღალი რისკის იურისდიქციებში არსებულ პირებთან მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების საფუძველი ფართოვდება, ანგარიშვალდებულ პირებს მოუწევთ აღნიშნულის მათ შესაბამისობის სისტემაში გაწერა და პროგრამული გათვალისწინება. შესაბამისად, ანგარიშვალდებულ პირებს ამისათვის 6 თვიანი ვადა განესაზღვრათ. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

MONEYVAL-ის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ იმ სამართლებრივ ცვლილებებს, რომელიც ძალაშია 1 ივნისისთვის, ხოლო ამოქმედდება არაუგვიანეს 1 დეკემბრისთვის. ეს თარიღები გამომდინარეობს იქედან, რომ MONEYVAL-ის კომიტეტი პლენარულ სხდომას გამართავს მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში, სადაც ასევე განიხილება საქართველოს ანგარიშიც. პლენარულ სხდომამდე MONEYVAL-ის ექსპერტებს, ასევე MONEYVAL-ის სხვა წევრ და დამკვირვებელ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ საქართველოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს და არსებობის შემთხვევაში დააფიქსირონ კომენტარები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, MONEYVAL-ი არ განიხილავს არცერთ სამართლებრივ დოკუმენტს, მათ შორის, პროექტის სახით, რომლის მიწოდება ივნისის დასაწყისის შემდგომ მოხდება.

შესაბამისად, კანონის 1 ივნისამდე მიუღებლობის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება MONEYVAL-ის მიერ დაწესებულ ვადებში შედეგების ჩვენება ევროპის საბჭოსათვის. აღნიშნული ნიშნავს, რომ რეიტინგი არ აეწევა საქართველოს რიგ რეკომენდაციებზე, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ქვეყნის იმიჯზე. კანონპროექტი დადებით გავლენას მოახდენს 2 რეკომენდაციაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სამსახურის ანგარიშგებების განხილვის თაობაზე, განხორციელდება არსებული რესურსების ფარგლებში. კანონპროექტი გამოიწვევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან ხარჯების გამოყოფას, ვინაიდან სააგენტოში უნდა შეიქმნას ქვედანაყოფი, რაც დაკავშირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ფინანსური სახსრების გამოყოფასთან. სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდება.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართის თანახმად (1.1 პუნქტი), საშემოსავლო გადასახადი, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა, მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, ამ განმარტებითი ბარათის „ბ.გ“ ქვეპუნქტში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, შრომის ანაზღაურებიდან დაბეგრილი შემოსავლის სახით გაიზრდება შემდეგი ოდენობით:

საშტატო ერთეული	საშემოსავლო გადასახადიდან დაბეგრილი თანხა (ლარი) ერთი თვის განმავლობაში	საშემოსავლო გადასახადიდან დაბეგრილი თანხა (ლარი) ერთი წლის განმავლობაში
დეპარტამენტის უფროსი	990.58	11,886.96
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	938.45	11,261.4
მთავარი სპეციალისტი	3,284.57	39,414.84

სულ	5,213.60	62, 563.2
-----	----------	-----------

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სამსახურის ანგარიშგებების განხილვის თაობაზე, განხორციელდება არსებული რესურსების ფარგლებში.

კანონპროექტი გამოიწვევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის ზრდას, კერძოდ, სააგენტოში შეიქმნება მონიტორინგის დეპარტამენტი 9 სამტატო ერთეულით:

სამტატო ერთეული	სამტატო ერთეულის რაოდენობა	საპენსიო შენატანი (ლარი)	ერთი თვის შრომის ანაზღაურების ფონდი (ლარი)	წლიურად შრომის ანაზღაურების ფონდი (ლარი)
დეპარტამენტის უფროსი	1	101,08	5,054	60,648
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1	95,76	4,788	57,456
მთავარი სპეციალისტი	7	95,76	16,758	201,096
სულ	9	532,00	26,600	319,200

აქვე აღსანიშნავია, რომ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტიდან გამომდინარე, სააგენტო დასაქმებულების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ახორციელებს საპენსიო შენატანს მათთვის გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, გარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსი, რომელსაც მოუწევს სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნა (9 შტატი), რაც ამ განმარტებითი ბარათის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფინანსურ ხარჯის გაწევას გამოიწვევს. კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სამსახურის ანგარიშგებების განხილვის თაობაზე, განხორციელდება არსებული რესურსების ფარგლებში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ2) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. ამასთან, კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის ვალდებულებებთან. ევროპის საბჭოს წესდების 15.a და 16 მუხლების შესაბამისად შექმნილი MONEYVAL კომიტეტის წევრ ქვეყანას, აქვს ვალდებულება დანერგოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით შესატყვისი სტანდარტები (ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები), ხოლო „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 48-ე მუხლის თანახმად, კონვენციის წევრი სახელმწიფო ვალდებულია პერიოდული შეფასების (MONEYVAL) შედეგების გათვალისწინებით, კონვენციით დარეგულირებული სფეროები შეუსაბამოს FATF-ის რეკომენდაციებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.